



## დაბერება საქართველოში

### სიცოცხლე გრძელდება

ლენა მამაგეიშვილი, 86 წლის, ქ. ქუთაისი

მე მოხუცი ვარ და რომ გითხრათ ამით კმაყოფილი ვარ, არ დამიჯერებთ. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ძალიან გრძელი მატარებლით მივდივართ, წინ ვდგევართ და ვაგონებს ჩემი მოგონებები სადღაც შორს მიაქვთ და უგზო-უკვლოდ კარგავენ.

მე კი ხან პატარა ადამიანი ვარ, ხან თვალწარმტაცი ასული, ხან კიდევ მომწიფებული ადამიანი.

ფორმა ჩემი არსებობის იცვლება, ხოლო სული არა, მაგრამ იძულებული ვარ დავმალო სულის უხილავი ძაფების შეჩერებული ციმციმი და მზად ვიყო ყოველგვარი მოულოდნელობის წინ.

მართლაც, რომ ძნელი ყოფილი ხანში შესვლა, მასში ყოფნა და სიცოცხლის გაგრძელება!

ისე ვითომ არაფერიც არ მოხდა...მაგრამ...მოხდა და ეს რეალობაა! ვინ როგორ ეგუება, ვინ როგორ იღებს ამას?!

ზოგიერთისთვის ეს ტრაგედიაა. გუშინ ყველაფერი, დღეს მხოლოდ ვიღაცის ცხოვრების დამატება ხარ. ზოგჯერ ძალიან საჭირო, მაგრამ მაინც მარტო, შორს მომზირალი და უფრო დიდი რაღაცის მოლოდინი, ვიდრე სიცოცხლეა?! ნეტავ იქით რა არის? დიდხანს ვფიქრობთ და გული გვწყდება, რომ სიცოცხლემ წუთისოფელივით ჩაიარა. ღმერთმა ხომ უფლება მოგვცა, რომ ამდენი ხანი აისი და დაისი გვენახა.

სიყვარული, სიხარული, დედობა, მეუღლეობა გვეგრძნო და შეგვეფასებინა. თუ ჩვენ აქამდე მივედით და კიდევ გვეძლევა რამოდენიმე ხანი ჩვენს ახლობლებთან ამ დედამიწაზე ვიაროთ და ჩვენი საქმე ვაკეთოთ. ესე იგი ღმერთმა ასე ინება და ჩვენც არ უნდა გაუწბილოთ უფალს იმედი.

მოვეხმაროთ ახალგაზრდებს, გავუგოთ მათ.

როდესაც შევხვდი ჩვენს აღზრდილებს, მე 67 წლის ქალბატონი, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მიხაროდა მაშინაც, როცა მან ქების სიტყვებით შემამკო და ლექსიც კი მომიძღვნა

„ აირევინ ფრინველნი  
არ გაირევენ ძერასა,  
ცხოვრება ვის რას არგუნებს  
ეს არვინ იცის წინასწარ“

თქვენ ჩემო მასწავლებლო  
ბევრ სიკეთესა სთესავდით  
ამ სიკეთისთვის ღმერთსა ვთხოვ  
რომ მიგეწიოთ 100 წლამდის“

მადლი და ცხონება თქვენს გამჩენს და ამიტომ ხართ დღეგრძელი!

მე ძალიან კარგად ვიცი, რომ სიბერე უკანასკნელი სადგურია.

გვინდა თუ არა ბოლოს და ბოლოს ამ სადგურზე უნდა ჩავიდე, მაგრამ მინდა ამისრულდეს ჩემი მოსწავლის სიტყვები და კიდევ ცოტა ხანს ვიცხოვრო.

## Getting Old in Georgia: Life Continues

**Elene (Lena) Mamageishvili, 86, Kutaisi**

I am an old person and you won't believe me if I say I like it... I have a feeling that we are travelling on a very long train, standing in the front, with carriages taking my memories far away and losing them.

As for me, I imagine myself being a child, a beautiful woman or a grown-up person.

The form of my existence changes but not my soul. I have to hide suspended flickers of invisible threads of my soul and be ready for anything that may happen in my life.

It is true that getting old, being old, and continuing life is difficult!

As if nothing happened... but in reality, it has happened! Different people react differently!

It is a tragedy for some people. Yesterday, they had everything but today they are just additions to other's lives. Sometimes, they are very necessary additions but do we have an expectation of something greater than life?! What are we to expect in another world? I have been thinking about it for a long time and I am disappointed that life has almost gone. God granted us a right to see the world and life.

To feel and value love, happiness, motherhood, marriage. We felt all these things and we still have some time to walk on the earth with people who are close to us and to do different things. God wishes this and we should not disappoint him.

Let's help young people, understand them.

When I met my former pupils, I was 67. I was very glad to see them and happy to receive a poem dedicated to me by one of them. The poem said that nobody knew what would happen in his life in advance and, as I gave them a lot of kindness, they asked God to grant me 100 years of life.

Thanks and happiness to those who gave you birth and let you live a long life!

I know well that ageing is the last station.

Whether we want this or not, we will get off at the last station, but I wish my pupil's words will come true and that I will live for a while yet.